საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

2454-01-2-202107211114

N 01/2454
21/07/2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 11 დეკემბრის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადდა კონკურსი (საკონკურსო განაცხადი N CNT200000036) ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების თაობაზე. კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს „ბაუ დიზაინი", რომელსაც დაეკისრა კონკურსით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი წარდგენის ვალდებულება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-20 მუხლის შესაბამისად ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის მომზადება დაქვემდებარებულია სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად დამგეგმავი ორგანო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართავს სკოპინგის განცხადებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 25-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშს, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით.

ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის პირველი ეტაპის მასალის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან:

https://drive.google.com/drive/folders/12aV6Xc8v5gBWw0pLxTsCTHp_bl3NBepP?usp=sharing

ბმულზე განთავსებული მასალა:

1.კვლევის ტექსტური ნაწილი;

№ 12899
21 07 2021

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

2. კვლევის გრაფიკული ნაწილი;

3.ხედვა და გენგეგმის კონცეფციის პროექტი (ხედვა, განვითარების სტრატეგია, სიცოცხლისუნარიანობის შეფასება - მიზანშეწონილობის კვლევა და სხვა);

4. ელექტრონული (ტექსტური) დანართები;

5. სკოპინგის დოკუმენტი;

6. ბაზები.

დანართი: 2 ალბომი, 1 ელექტრონული დისკი

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი